

# მავმაბისტი

საქართველო  
განათლების დაწყების დღე



№ 9

სახელგან

1929



1929

ଶେଷତାପାଦିନ

କାନ୍ଦିତାରୁଲିଙ୍କ ମେ. କୁ. ଟ. ଉପରୁକ୍ତାଲ୍ଲାଙ୍କର ଉଚ୍ଚ କ୍ଷେତ୍ରରେ ଶିଥିରୁ  
ନାହିଁ ଏହାରେ ଉଚ୍ଚ କ୍ଷେତ୍ରରେ କାନ୍ଦିତାରୁଲିଙ୍କ ମେ. କୁ. ଟ. ଉପରୁକ୍ତାଲ୍ଲାଙ୍କର  
ଉଚ୍ଚ କ୍ଷେତ୍ରରେ କାନ୍ଦିତାରୁଲିଙ୍କ ମେ. କୁ. ଟ.

ଫୋର୍ମୁଲାର୍ ପି

No 9

၁၀၅၁၁၄၆၀

- |   |    |
|---|----|
| 1. ԱՎԱՐԱՆ ԸՆԵՐԾՈ, — Ն. ԼՈՂՈՆՆԵՍՈ; ՏԱՐՅ.                           | 1  |
| 2. ԱՊՌ-ԽՄԼՎՑՑՈՅԵՍԹՈ, — ՀԱՅՔԻ ՏՈԹԵՆ ԲՐԱՅԵԼՈՒ                       | 11 |
| 3. ՇԱՋՈՒ ՑՈՒՆԵՈՆՅՈ, — ԹԱՌՈՅՅԱ ՑՈՎԵԼՈՒՄԸՆ                          | 13 |
| 4. 26 ԺՄԱՐԵԱՀՈ, — Հ.-ՕՏ   | 18 |
| 5. ՏԵՐԱՋՈՒՏԵՐ ՅՈՒՀՈ, — ՀԱՅՔԻ Յ.-ՕՏ                                | 20 |
| 6. ՅՈՒՅՈՒՆՈ ՇԱԺՈՒ, — ՀԱԴԹԱՅԵՐ, Ե.-ՕՏԵ                             | 22 |
| 7. ՑՈՒՐԱՑՈՒ ՇԱԿԱԽԵՐԾՈՒ ՏԱՀԱՑԵՄԸՆԴԱԿ, — ՀԱՅՔԻ<br>Ց. ՀԱՅԻՆՑՎՈՂՈՒ    | 24 |
| 8. ԸՆԱԿԱԽԵՐԾԵ ԸՆԱԿԱԽԵՐԾԵ, — ԴԱՀՅ. Ե. Յ.-ՕՏ                        | 25 |
| 9. ՆԵՐՅՈՒ ՑԱԵՐՈՒՑՈՒ ԱԵՐՅՈՒՑՈՒ                                     | 32 |
| 10. ՑԱՏԱԿՈՒՑՈՒ: ՏԱՄԱՑՈՒ ՀԱՐՄԱԿԵՆՈՒ ՑԵՐՈՒՐ Ը ՑԵՏԱՄԵՐ 838-<br>ՀԼԸՐ. |    |

## ԲՅՈՒ ԾԱՀԱՑՈՒՆ

კულტურას უკარს გამოცანები ჰა მათი  
გამოყონმა, მაგრამ ბერძოდ უფრო საწ-  
რენესოა თეოთუ გამოიგონონ გამოცანა  
და სხვებმა გამოიცნონ. იქნება ოქუნე  
არ იყით, რომ შეიძლება გამოცანების  
გათამაშება. შეიძლება გაითამაშოთ, რო-  
გორ მიემგზავრებიან ქალაქიდან, სოფ-  
ლიდან, აგარაკიდან.



პირებითი გამოცანა შეიძლება ასე  
მოაწყოთ: დატექით მუქრიფად ერთიმე-

## პატარა ღმენი

საუბარი ჩამოაგდეს ოქტომბრელებმა დენიშვე.

— როგორი იქ დენის ბაჟმობისას?

— ფლეჭობდა? ჩხებობდა ბიჭებთან?



ვ. ლენინი პატარაობისას თავის დასთან ერთად.

— რას ამბობ! ის ერთეულთვის სწავლობდა. ასი ათასი წიგნი წაკითხა.

— ალბათ მოწეუნილი იქ.

— რატომ?

— ის ხომ მუდა სწავლობდა. ალბათ სათამაშოები სრულებით არა ჰქონდა. მეცოდება.

— აბა სურათები უთველთვის რატომ იყინის? მაშასადამე, ის შიათული იქ.

558.

— იცით რა, შევეკითხოთ სელმძღვანელს.

მოგიდა სელმძღვანელი.

— აბა, ბიჭებო, წენარად. ლენინზე ვიბაასებთ.

— კასო, გვიამბე პატარა ლენინზე.

— კარგი, გიამბობთ. პირადად მე ლენინი პატარა არ მინასავს. ამიტომ გიამბობთ უვებდაუერს, რასაც სწერდენ პატარა ლენინზე ან რასაც გვიამბობდენ ისინი, რომელიც მას ბაჟობისას იცნობდენ.

— ბაჟობისას მას ლენინს კი არ ემახდენ, ემახდენ გალოდია უფიანოვს. როცა ის რევოლუციონერი გახდა, ლენინი მაშინ დაირქვა. ოქტომბრის რევოლუციაშედე რევოლუციონერები, რომ დამალვოდენ ბოლციასა და ესნადარმების, ხშირად იცვლდენ კარს. გალოდია კარგი ცოცხალი ბიჭი იუ.

მსარეარმა დახატა სამი წლის გალოდიას სურათი ფოტოგრაფიული სურათ. სა და კლადიმერ ილიჩის დედის მოგონების ძიხედით, მე მინასავს ეს სურათ.

სურათზე გამოხატულია ოქტომბერი სუსტეტომიანი ბიჭი, ჩხაკი ცოცხალი თვალებით; მას ვარდისფერი ბლუზა აცვია.

ვინც კი იცნობდა გალოდიას ბაჟობაში, უკელა ლაპარაკობს მასზე, როგორც სუსტეტომიან ცელქენე.

კლადიმერ ილიჩის უფროსი და, ანა ილიას ასული ელიზაროვა, მასზე სწერს:

„უკელაზე უფრო მეტად პატარა გალოდია თავის უმცროს დასთან, თლიასთან, თამაშობა, რომელიც წლინასევრით იუ მასზე უმცროსი.

„ორივენი მალენა სიცოცხლით საგსენი და გაბეჭდული იქნენ, უკვარდათ ხშაურით თამაშობა და სირბილი. განსაკუთრებით გამოიჩინდა ამით გალოდია, რომელიც ჩეულებრივ მეთაურობდა.

— მასასადამე, ის პატარობაშიც ბელადი იუ? — შეკითხა ოქტომბრელი.

— ბელადი კი არა, ცელქი, — გაუსწორა სელმძღვანელმა.

, „უდიოდია შეგვებდა სოლი თლი-  
დას დივანის ქვეშ და შეძლებ უბრძანებ-  
და: „ბიჭებით იარ დივანის ქვეძიდან!“

სათამაშოებს ნაკლებად იუქნებდა,  
ის მათ ამტკრევებდა.

მასხოვეს, სწორედ დაბადების დღეს  
მიიღო მას საჩუქრად მარსილი, რო-  
მელშიც სამი ცხენი ება. სადღაც  
მიიძღვა ბალი სათამაშოი. და-  
გუწევთ ძებნა და კარს უკან ვიბოგნეთ.

ის წენარად იდგა და ნელ-ნელა ატრიალებდა აქეთ-ექით ცხე-  
ნების ფეხებს, სანამ ერთიმეორებულ არ მოტევდა“.

ულიანოვების ნაცნობი ნაზაროვა სწერს თავის მოკონებებში  
ვალოდდაზე:

„ჰელაზე მხიარული და ცოცხალი ულიანოვების ოჯახის  
ბავშებში ვლაბდიმერი და ოლდა იუქნენ.

მოელი დღე ჰეიძლებოდა გებმინა, თუ როგორ მდეროდა ოლდა,  
ხტოდა ცალ ჟაჭზე, ტრიალებდა, ცეკვავდა ან თამაშობდა ვალო-  
დიასთან, რომელიც, მე მგონია, ეველაზე უფრო სადავიდარბო  
იუთ დევისა და უფროსი დისავის,—ის იუთ ეველაზე ცოცხალი და  
ანცდ ულიანოვების ბავშებში. ახლაც თვალწინ მიდგას ის ჩითის  
სალათით და ფართო შარვლით, ის ცელქობს ან ავაკრებს  
ოლობს.

ვალოდდიას უკარდა სმაურიანი მოძრავი თამაშობინი?“

ამს. ლენინის და გვიამბობას:

„ნაფესები ის დარბოდა ეზოში და ბაღში, აცოცდებოდა სოლ-  
მე სექტე, თამაშობდა ჩვენთან ერთად „მავ კოსს“; ვალოდდიას  
მაღაინ უკარდა ეს თამაშია, სოლო მერე შეუკარდა კროკეტი.

ზამთარში ციგათბოდა გორიდან, რომელსაც აკეთებდენ ჩვენს  
ქორი, და ამხანაგებობა გუნდაობდა“.



ვალოდია გეორგი გორგაშვილი.

საფხულში ვაღოდიას მძიმები სტირად მიდიოდენ სტუმრად თავის ნათესავებთან სოფელ კოკომპინთში, რომელიც უაზანის გუბერნიაშია.

ბატათა დენიის დედ-მამა თავისუფაღ დროს გლეხებთხნ ატარებდა. მამა ებაასებოდა გლეხებს, ხოლო დედა, მოუხედავად იმისა, რომ ექიმი არ იყო, მეურნალთბდა გლეხის ქალებს და მათ ბავშებს, ურიგებდა ქალაქში ნაერდ და სოფელში თან წამოლებულ წამლებს.

ଶାରୀରିକ ବ୍ୟାକ୍ରମରେ ମତ୍ତୁ ପରିବାସ ହଲ୍ଦେନିର ଦିକ୍ଷିତମାତ୍ର ଅର୍ଥାର୍ଥବିଧା.

„მას მოჰქონდა ქალაქიდან უძრავი სხვადასხვა ფერის კოში და თამაშობას აწერდა. მას კუპარდა კოჭიობა და, რაც სოფლის ბავშვებისთვის სამუშაოთ იყო, იძღვდოდა აგებდა.

ამ თამაშობის გარდა, მას მაღიან უკვარდა მძვიღებ-კოდანი. ამით  
მიდიოდა ის ძორს მინდოობდი და ქროდა იქ ღალდებს, რო-  
გორც ამას გლეხის ბავშვის ჩადიოდნ.

როდესაც მთხოვდილები მიღოდეს დაშის სათევად, კალოდის  
თხოვლობიდა:

— მეც წამოვგანეთ. მე კველასათვის მოვამზადე ჩაი, შაქარი. კოცონის დაგანთვება, ტოტების დავაძმტერება.

— მაგრამ უფროსები ეუბნებოდენ:

— არა, არა, ესლოდია ძენ ჰატარა სარ, — აბა, როგორ წავიდათ.

დიდ ეურაზიანის აქცევდა პატარა ებლოდია უატრონი გატის  
კურების. ის მათ აიღვანდა და შეტებდა ბაზის თავშესაფარს. სხვა-  
დასხვა გამოუსადებარი მასალისაგან უძრნებდა მათ სახლებს, ჰერ-



ულიინოვის ოჯახი<sup>1</sup> (ცოლოდია მარცხნით ზის).

თებდა ფანჯრებს, რომ ბენედი არ კოუილაციკნენ, მაგრამ ნახევ-რად თვალიაუსელელი კნუტები, რომელთაც მან ვერ ასწავლდა ჭამა, მისდა სამწუხაროდ, იხოცებოდენ.

ვოლოდიძას უველა თავის ტოლზე მეტად შეიძლო ცელქობა, ის ძალზე შეიარული და ხალხის მოყვარული იყო. მაგრამ მისი თა-მაძი და ცელქობა ერველთვის უკნებელი იყო.

— ვალოდიძას უვებოდა არა მარტო ცელქობა, არამედ სწავლაც, — გვიამბობს მისი უფროსი და ანა ილიას ასული, — კითხვა მან ხეთი წლისამ ისწავლა დედისაგან.

მან და მისმა დამ თღიამ ძალზე შეიუბარეს კითხვა და დიდის სიამოვნებით კითხველობდან საბაჟშო წიგნებს და ქურნალებს.

მალე მათ დაიწეს მოთხრობების კითხვა რუსეთის ისტორი-იდან და ზეპირად სწავლობდენ ლექსებს.

კითხვის შემდეგ, ვალოდია დასთან ერთად მითბოდა სათა-მაშოდ.

კინნაზიაში ვალოდია მაძინ მიაბარეს, როცა ის ცხრა წლი-ნახევრის იყო, პირველ კლასში.

ის ძღვილად და მოხდომებით სწავლობდა. ნიჭიერი იქთ და მამაც ასწავლიდა მას, როგორც მის უფროს მმას და დას, დაგალებულის ზუსტად და გულმოდგინედ შესრულებას. გალოდის თავისი ნიჭის გამო შინ მსოფლოდ გადახედვედა ხოლმე სკოლაში გავრცის, რადგანც ის სკოლაში დიდის გურადღებით უსმენდა მასწავლებლებს.

დადგებოდა თუ არა საღამო და ჩვენ, უფროსები, ჩვენი სამუშაოებით სასაღილოში დიდ მაგიდასითან მოვეწეობოდით, ვალოდიას ამ ღრის შემსი ნასწავლი ჰქონდა გაყვეთილები, ლაპარაკობდა, ცელქობდა, აბრაზებდა ჰატარებს და უძლიდა მათ ხელს.

— ვალოდია, გაჩერდი!

— დედა, ვალოდია არ მაცლის მეცადინეობას!

მაგრამ ვალოდიას მობეჭრდა წენარია კდომა, და ის ცელქობს, ხელებზე ტრიალობს. ხანდახას დედა ვაიგვანდა ხოლმე ჸატარა ბავშებს დარბაზში, საღაც ისინი მღეროდენ როიალის აკომპანიმენტით საბავშო სიმღერებს.

ვალოდიას უკარიდა მღერა, კარგი სმენა და მუსიკის ნიჭი ჰქონდა; ჸატარა მშა მიტია, როცა ის სამი-ხუთი წლის იქთ, ძაღლზე გულჩეილი იქთ და არ შეუძლო აუცრემლებლად ემღერა ბოლომდე „თხა“.

ცდილობენ შექნიათ ის, არიგებდნ. მაგრამ გაშენედებოდა თუ არა და შეცდებოდა შევლა სამწეხარო ადგილის მღერას, ვალოდია მობრუნდებობა მისკნ და განსაკუთრებული სიძლიერით და საშინელი სახით იძღვრებდა:

„ოაუს დაქსხენ თხას ნაცრისფერი მკლები“. მიტია მავრდება, რაც კი შეუძლია.

მაგრამ ცელქი ვალოდია არ ჩერდება, სახეს საძინელ გამომეტეველებას ძლიერს და განაგრძობას: „დაუტოვეს ბებიას რექი და ხლიქები“. ჸატარა კერ უძლებს ამას და გულაშისკნით იწევს ტრიალს. მასსოვან, მე კერძებოდ ამას გამო ვალოდიას, მაბრაზებდა, ის რომ ჸატარას აჯავრებდა.

როცა მამა შინ იქთ, ის, როგორც ეოგელთვის, გვეხმარებოდა ჩვენ, უფროსების,—მიჰებადა ვალოდია თავის კაბინეტში და ამო-წმებდა მის გაკეთილების. მაგრამ ჩეულებრივ ვალოდიამ ეკელაფე-რი იცოდა; მაძინ მამა დაუწებდა ძევლის გამოყითხვას—გამოკით-ხავდა ლათინურ სიტყვებს, მთელ რეგულში რომ იქთ ჩაწერილი, მაგრამ ვალოდია შეუძლებელი უნისესებდა.

თუ მამას არ ჰქონდა დრო გაერთო ვალოდია ჯადობკ. ს თა-  
მაშოთ ან სხვა რამით, სიჩუმე სასადღლოში დღიდ სწორი როდი ჩაფიქრდა“.

კარგად სწავლობდა კლადიმერი უვალა კლასში და შექლა სა-  
კანში ერთხაირად ასწრებდა. მაგრამ, სკოლაში სწავლის დროს ც  
კლადიმერი თავის ამსახავებთან დროს ძოულობდა თამაშობისა-  
თვის.

ბ. ფარმაკოვსკის მშობლების ბადში (ფარმაკოვსკი კლადიმერ  
ილისის ამსახავი იქთ, ერთ კლასში იცვნენ) ვალოდია თამაშობ-  
და ბიჭებში ქაჩაღობანას, შავკანიანიბას და სწო.

ვალოდიას უკარიდა ჭადრაკის თამაში, თხილამურებით სრია-  
ლი, ქარგად ცურბვდა, უკარიდა ველოსიპედზე ჯდომა. ვალოდია  
შეტის-მეტად გულებთილი იქთ. ის ეოგელთვის ებმარებოდა თავის  
ამსახავების როგორც სკოლაში მცადინეობაში, ისე თამაშობის  
დროს.

აი რას სწერს მის შესახებ ორი მ.სი ამსახავი, ნ. გ. ნევრ-  
დოვი და გ. დორუტი.

, ზამთრის დასაწეისში მიმაბარეს სამრევლო სასწავლებელში.  
ართმეტიკა სრელიად არ მქსმოდა, ვალოდია ეოგელთვის მეხმა-  
რებოდა და მისი წეალობით მალე შევითვისე ის და ძემდებ სა-  
შეალო მოწაფე კიუბი. არ მასსოეს მას ჩემთვის დაუცინოს, უვიცი ხარო,  
პირიქით, მაღნე უსაროდა ხოლმე, როდესაც დავიწევა ამოცანების  
დამოუკიდებლად გამოუვანა“, — გვიაბბობს ვალოდიაზე ნ. გ. ნე-  
ვრდოვი.

„მე სანიორი კცხოვოდდი, რომელიც კიმნაზიასთან არსებობდა,— კადამბობს დრუთი,— სადაც მაღაზე ცედად მგვებავდებ. კლასდიქერი ერველთვის გვინდილებდა თავის საუნძეს, უფრო სწორი იქნება თუ კიტენი, რომ ჩვენ ერველთვის გქაშდით მისი საუნძის დიდ ხაწილის.

ის მარტო საუზმეს კი არ უნდა იღებდა თავის ამხანაგებს, არამედ ურიგებდა რეპელებს, ფანქტებს, კალმებს და თვითონ კი აუცილებელი რამებიც ადარ ჰქონდა, ამის გამო კი პრაყრობელ გაეტაცხა ის სკოლის ინსპექტორიძე.

თბილის დროს გამარჯვებული ქალოდია ბრასდოს არ ტრანსპორტის მეთოდი მოთამაშე გართ და ბრ დასციხლდა იმას, კინ წარმატების მიზანით თამაში.

მაღალ აინტერესებზე აღწიდობულ კლავიშის პილიტერიზაციაზე მისამის მოყვალი სურდა.

ის ძალის დაინტერესებული იქთ გლეხების და მუშების მდგრა-  
მარეობით.

იმ საკითხებს, რომელიც მის აღველვებდა, ის თავის ასლობელ მეტობრების არკვევდა. კლასიზმერი გამოირჩეოდა განსაკუთრებული ქნერვით, ნებისეფლით და ამსახავებზე გავლენის მოხდენის უნარით, აჯერებდა მათ, უმტკიცებდა მათ თავისი აზრების და ძენებულებების სისწორეს.

როდესაც კლადიმერ ილიჩი წამოიზარდა, ის მთელ დღეებს  
წიგნების კითხვაში ატარებდა. მას შექმლო წიგნების არა მარტო  
წაკითხვა, არამედ შესწავლაც: ადგენდა კონსექტებს, ამოწერ-  
და ზოგ რამეს, რომ უკეთ დაქმახსოვრებდა უფრო საინტერესო  
ძეგლიდები.

წიგნებს მხოლოდ მაშინ პორფებთდა, როდესაც სასეირნოდ  
მიღიოდა ას სერდა ბაბი და კამათი ვიწრო წრები, იმ ამსახავებთან,  
რომელიც, როგორც თუითონ, რეგოლუციონური მოდაწერა

ბისათვის ემზადებოდენ. კლადიმირს მეტის-მეტად უკარდა თავისი მძღვანები. მაგრამ ეკელას ძლიერ უკარდა დედა და მის ახერს ერველთვის ანგარიშს უწევდა.

„კლოდიამ პაპიონის წევა დაიწეო, — გვიამბობს ანა ილიას ასული. — დედამ, რადგან ქანონი კანონობის არ აყნოსთ, და უწეო დარჩება, რომ პაპიონის წევა მიეტოვებია. მაგრამ პაპიონის წევის მაფნებლობის დასაბუთებამ მასხე არ იმოქმედა.

მაძინ დედამ უთხრა: „არ უნდა მისწევ შენ თავს ზედმეტი სარჯვის ნება, თუნდაც კლეიკების, როდესაც საკუთარი მემონავალი არა გაქვს“ (ულიანოვების ოჯახი ამ დროს დედის პატარა პენსიონი ცხოვრობდა). კლოდიამ მამინვე და სამუდამოდ დახება თავი პაპიონის წევას“.

ნადევდა კონსტანტინეს ასული, კლადიმირ ილიას ცოლი, სისირად გავიამბობდა ხოლმე, თუ როგორ ძლიერ უკარდა კლადიმირ ილიას თავისი დედა.

როდესაც შესმ მოხსენდეთ იქ, ის ცომბირში ცხოვრობდა, გადასახლებული იქ, და გახეთში წაიკითხა მარია ალექსანდრეს ასულის ულიანოვას სიკვდილის შესახებ. დედის სიკვდილის ამბავშა მაღალ დაძონა ილია.

შემდეგ გამოირკვა, რომ მომკვდარიულ კილაც სხვა მ. ა. ულიანოვა, და კლადიმირ ილია მეტის-მეტად ბეჭისერი იქ, რომ დედა ცოცხალი ჰყავდა.

მოედი თავისი რეკოლეციონური მოღვაწეობის განმავლობაში, საზაც გინდა უოფილიერ კლადიმირ ილია, ის უკეთობის მოულობდა დროს, რომ მიეწერა წერილი დედისათვის.

დედის სიკვდილის წინ, — ის მოევდა 1916 წელს, — კლადიმირ ილია შეკიცათიდან შეეციაში გაემგზარ, რომ გამომშვიდობებოდა მას.

არაჩემულებრივი სიუბარულით ეპერიბოდა ილია არა მარტო საუთარ დედას, არამერ ნადევდა კონსტანტინეს ასულის დედასაც, რომელიც მუდამ ლენინთან ცხოვრობდა.

როცა ერთხავეტა ვასილის ასული—ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის დედა—მთხუცენა, ვლადიმერ ილიჩი მას სელი სელგაურილი ასეირნებდა. ვანსაკუთრებული სიუფრულით გჭეოდა ილიჩი მას, როცა ის აჯაღ გახდა.

ვლადიმერ ილიჩი და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ხან ერთი და სას მეორე მორიცებისადენ მის ლოგინთან, და ილიჩის სელში მოუმდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის დედა. ის მთხუცენების მის ლოგინთან, შეამჩნია, რომ საწოლიდან მას მირს კადმოკიდებოდა ფეხი, უნდოდა დაეწეინა უფრო მთხერსებულება და იქვე შეამჩნია, რომ ერთხავეტა ვასილის ასული კუდებოდა.

მას დაუხუჭა თვალები მას.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული არ იქო შინ—ის წამლისთვის წასულიერ.

პატარა ვალოდია, რომელიც გადაიქცა ამხანავ ლენინად, მუშებისა და გლეხების ბელადად და მასწავლებლად, უდიდესი საქმეების დროსაც არ იკინებდა ცალკეული ადამიანების გაჭირვების.

მას შესწირა მოელი თვალისი სიცოცხლე მუშებსა და გლეხებს, შეელოდა მათ დიდ და პატარა საქმემ. ის სიუფარულით ესაუბრებოდა, აძლევდა მათ რეგა-დარიგებას, ასწავლიდა რეფოლუციონურ ბრძოლის და ამავე დროს შეეძლო მხიარული თხეწნობა და ცდილობა დახმარებოდა უვეზას, რითაც კი შეეძლო.

ჭ. ლილინა



## ა პ ი - პ ი ლ ე ქ ტ ი ვ ი ს ტ ი

აკი თქმობრელია,  
ქალაქელი, ჰატარა,  
ეს საფხული მან სოფლის  
ბაჟმებთან გაატარა.  
ქადალდებზე დახატა  
ხუთქიძა ვარსკვდავები  
და ნაკადში ჩაუძებ  
სომალდები, ნაგები.  
მაგრამ მალე მოსწეინდა  
აკის ეს გასართობი  
და მინდორში მოხაზა  
ერთგან მიწის ფართობი.  
— მე კომუნას ვაარსებ! —  
მიძართა ამხანაბის —  
ჩვენ წევრები ვიწნებით,  
კოლექტივი განაცებს.

— რათ?  
— რა სიქია!  
— არ გვამის  
შენ გამოვონება!  
— კოლექტივი რას ჰქია?  
— შევაერთებოთ ქონებას  
დარიბ გლეხის შეიღები,  
მდიდრებს არ წავიკარებოთ  
— და თუ შემოგვეპარენ?  
— გამოვუძახებოთ გარეთ  
და მოვაწეობოთ კომუნას  
ჩვენთვის სამეურნეოს,  
მისთანას, რომ ასე სთქვან:  
„რა უოფილა თურმეო“.  
ნაძღილ ახალ ცხოვრებას  
სწორედ მაძინ გავიცებოთ;

ქოჩხახების შაგივრად  
 დიდ სასახლეს ავიტებთ,  
 ელექტრონი, რადიო,  
 სკოლა, კლუბი, ტრაქტორი,  
 მანქანები,—რაც გვიჩდა  
 გვექნება უკერძოებრი.  
 საქმეს დღესვე შეჭრისა,  
 ბეჭედოვა ლაპარაკი.  
 თავშედომარე ვინ იუთს?  
 დაი უგუნეს:  
 — აქი!

აქიც შეუდგა საქმეს,  
 არ იჩნის მოსუნებას  
 და კომუნის კრებაზე  
 აკეთების მოსუნებას.

სიმონ წეველი





# დების მოღონიშვილი

დედა კრებაზეა, ესე იგი შინ არ არის. რატომ არ მოგის დედა? — ასე მსჯელობს ლილი. ნუმა და კოგიც ეთანხმებიან მას, ეს იმი-ტომ, სამივეს წლოვანება რომ შევავაშოთ, თხუოქეტაძე ძლიერს აფა. შეორე კიდევ ისა, რომ შევე რვა საათია, ჩაის დროა, ნუმას თვა-ლები ეხუჭება, მაგრამ უდედოდ აბა როგორ დაიძინოს?

კი არ იყიქროთ, ვითომც ნუმა ისეთი ზარბაცე და პირდია გოგო იუს, რომ თავის ლოგის კურ მიაგნოს. აბა თქვენ თვი-თონა სოჭვით: როცა საი წლისა ხართ და დაუხმარებლად ფეხ-საცმელსაც კურ გაიხითით, დედა არ დაგჭირდებათ?

ჟო და, აი, დედა შინ არ არის, ნუმას ქმინება, გოგის და ლილის ხაი უნდათ, ნუცა კი ჭიშინად მოსჯელობა მაგიდას და „ბი-ძია თომას ქოს“ ჩაიკრებებს.

კურ დრო გაბეჭთილების შეადებამ წაიღო. ნუცას რა უჭირს, მას არ სჭირდება დახმარება. ის აუჩქარებლად, ჩუმად აკოტებს თავის უცნაურ ამოცანებს მიმეტებით, ფრინილებით და ნულებით. უჟ, რამ-დენი ნულია, ზოგი წინ და ზოგიც უგან! ეს იმიტომ, რომ ნუცა ჟოშ მეოთხე ჯგუფშია.

პირველჯგუფილ ლილის კი ასე კარგად როდი აქვს საქმე! აი, ის ზის, თვით გვერდსე გადაუხრია, წერს და გულმოდგინედ დე-ჭავს ენის წვერს: ეს მეტის-მეტი სერიოზულობის ნიშანია.

დროგამომვებით ლილი სწევეტს წერას და დიდის ამბით ცხადებს:

— გადიონეთ, რა ამოცანა გაფაქოთ!

ნუცა თავს ანებებს მუძაობას და მოსასმენად ემზადება.

— აბა, წაიკითხე! — დაუჩხრებლად ამბობს ის.

ლილი კითხულობს:



— ერთ ხეზე სამოცდაათი დათვე იჯდა...

— ლილი! — აღმორთებით აწევერინებს ნუცა, — როკორ შეი-  
ძლება ასეთი სისულელის ჩმახვა? დათვები ბეღურები ხომ არ არიან,  
რომ თითო ხეზე სამოც-სამოცი დაჭდეს ანა რომელი ხე დატევს  
ამდენ დათვს!

— မျှ ၏ ဒါန္တ၊ — ရာဇ်နှုန်းတွင် ပျော်စုပ်ပဲ ဖြစ်လေ၊ — ဒါ အမျှ  
နှင့် ဝါယာ မြတ်စော ပြုတော်မူခဲ့လေသည်။

— მერე და ტვინი რაღადა გაქვს, თუ სრულებით არ დაფიქტები?

အကြော ပါရိုးကျွန်ုပ်လောင်း

— ასენა რადა ვუკო ამ ამოცანას? შემე გამოვიყენე ჰველა  
კითხვა.

— აი რა, — ურჩევს გოგი, — აიღე და დათვების მაგივრად  
ბეღურები დაწერე, ამოცანა კი ისევ ისე დასტოუ.

ლილი ისევ შეუდგა მუძღვისას. ენის წვერიც მასთან ერთდე  
შრომობს.

ცოტა სნის შემდეგ ლილი ისევ აცხადებს:

— აბა, მოსმინეთ: ერთ სეზე სამოცდათხუთმეტი ბეღურა იჯდა,  
აქედან ოცდათხუთმეტმა მეორე სეზე გადაინცვლა, ცოტა სნის შე-  
მდეგ იმავე სიღაძის კიდევ რამდენიმე ბეღურა გადაფრინდა, რიცხვით  
თოჯერ მეტი, ვიღორე პირველად. კითხეა: რამდენი ბეღურა დარ-  
ჩა სეზე?

— აა, ლილი, — ამბობს შეწუხებული ნუცა, — ეს სომ  
მოლად სისულელება!

— რათ? — კითხულობს შეურაცხუოფილი ლილი და სასუბ-  
რად ქმნადება.

— აბა შენ თვით იუიქრე: შენს ამოცანაში კამოდის, რომ  
სამოცდათხუთმეტ ბეღურაში ას ხუთი გაფრენილა, აბა ეს როგორ  
შეიძლება?

— არაფერობიც, — ცხარობს ლილი, — აბა სადა, სად არი ას  
ხუთი?

ნუცა მოთმინებით უხსნის:

— 35×2, რამდენი იქნება?

— სამოცდათო.

— 70+35, რამდენი იქნება?

— სამოცდათს ოცდათხუთმეტი... სამოცდათო, ოცდათხუთმე-  
ტი... დაიცა, დაიცა! სამოცდათს ოცდათო — ასი, კიდევ ხუთიც —  
ას ხუთი! — მწეხარებით ამბობს ლილი.

— აი ასე, ახლა აიღე და ეს ამოცანა სულ წამხლე, ახლოი გა-  
მოგიგონოთ.

გაკვეთილებაც მორჩენ. გოგიმ და ლილიმ ჭადრაკი კამარ-  
თქს, ნუცა „ბიძია“ თომას ქოხს“ ჩაუკვდა, ნუძა კი დიდონ წამ-  
წების ახამხაძებს და სატიროლად თუ საძილოდ ქმნადება.

— ქიშ მეფეეს! — აცხადებს გოგი და თავის დედოფალის ლილის მეფის წინ აუკნებს.

— შენს მეფესაც ქიშ! — არ იძნება ლილი და მოწინააზღვის მეფეს ცხენით ემუქრება.



— აა არ შეიძლება! — ცხარდება გიგი, — შენს მეფეს ქიში აქვებ!

— მერე რა? შენ თუ ჩემს მეფეს მოკლავ, მეც შენსას.

— აა როგორ შეიძლება! — ცხარობს უურებამდე გაწითლებული გოგი, — მემ თამაში არა გცოდნია, შეიძლოსა, და მეთამაბები კი!

— რა იუთ, რა მოხდა? — ჩაერთა ნუცა მომრიგებლად.

— აჟა, დასე, დასე! — ეუბნება გიგი, — მე აქ ქიშს გუცხადებ, ეს კიდევ აინუნძიაც არ იგდებს და ქიშითვე მიასუსტებს.

ნუცა უურადღებით ათვალიერებს დაფას და მერე ამბობს:

— უბრე არ შეიძლება, ლილი, მეფეს მუქარის ქეუშ კერ და ტოვებ.

— ჸო, მაგრამ თუკი მეტი სვლა არა მაქსი? — ცრემლნარეკები ხმით ამბობს ლილი.

— მაძ წაგიღია და ძენს მუფეს შემათი აქს, — ამბობს ნუცა და დასამშეღებლად უმატებს: — სვლასლა დაიწეუთ და ასლა, ალბათ, შენ მოიგებ.

მაგრამ ლილის დაკარგა თამაშის სურვილი. გოგისაც მობეზრდა, თოიგეს მოაგონდათ, რომ შეით.

— ნუცა, — გაუბერავად ამბობს ლილი, — მოდი ჩად ავადუღოთ.

— ნავთი არ არის, — უიმედოდ უპასუხებს ნუცა.

— დეიდა ქეთოს გამოვართვა! — ამბობს გოგი.

— კიბეჭვა რომ ბენედი? — შეით ნურჩეულებს ლილი. — გინ წავა დეიდა ქეთოსთან?

— მე მეშინა, — ამბობს ნუცა.

— მეს.

— მეს.

— ველა წავიდეთ!

— მერე ნუმა? მას სომ ვერ წავიკანთ და ვერც მარტო დავტოვებთ.

— მაძ რა გჭნათ?

ველანი ფიქრობენ. ბოლოს ნუცა ამბობს:

— აი რა: მე და გოგი წავალოთ, ძენ კი, ლილი, ნუძასთან დარჩები.

მეზაურები სასაჭირო და წამწუმით შეიარაღდენ და გავიდენ.

დეიდა ქეთო ქედა სართულძი ცნოვრობდა. ბავშვებს წინ ბენელი დერეფანი და ვიწრო, ხვეული კიბე ედოთ.

დერეფანში მაღაზე ბენელოდა. ნუცამ სცდადა განათება, მაგრამ გატესილ ფანჯრები შემოჭრილია ქარძა უცებ გაუქრო სინათლე.

— არა უძავს რა, — გულადად წაიჩურჩელა მან, — აა ასლავ სახელურამდე მივალოთ და მოვეტიდებით. ფრთხილად კი, ფეხი არ დაგიცდეს.

(დასასრული იქნება).

მარიკა მიქელაძე.

# 26 პირუ 6 არა

11 წლის წინად პროლეტარული რევოლუციის ჯალათების ულმობელმა ხელმა მოუსპო სიცოცხლე სოციალიზმისათვის ღიდებულ მებრძოლთ — სტ. შაუმიანს, ალ. ჯაფარიძეს, მამედ აზიზბეკოვს, ვანო ფიალეტიოვს და სხვებს; იმათ სახელებს არასოდეს არ დაიტიქებს ამიერკავკასიის პროლეტარიატი და ჩვენი მოზარდი თაობა. ამიტომაც საჭიროა ვიცოდეთ, ვინ იყო ეს 26 კომუნარი და რისთვის განგმირეს იმათი გული ტყვიოთ.

ოქტომბრის რევოლუცია ამიერკავკასიაშიც გავრცელდა. ბაქოში მოიდგა მან ფეხი, და გამოცხადდა აზალი მთავრობა, რომლის სათავეში იყვნენ არჩეული ბრძოლაში გამოცდილი შუშათა კლასის ბელადები. სხევანაირად არც შეიძლებოდა მოქცეულიყო ბაქოს პროლეტარიატი, სწორედ მათ მიანდო მუშათა კლასის მონაპოვართა დაცვა, რომლებიც პროლეტარიატთან იყვნენ და მასთან ერთად იბომოდებოდნენ რეაციის წლებში.

მძიმე გარემოებაში უხდებოდა მუშათა ბაქოს მთავრობას მპერიალისტური ომის დროს; ერთის მხრით იერიში მოქვენდათ გერმანიასა და თურქეთს, მეორეს მხრით — ინგლის-საფრანგეთს; ამავე დროს საჭირო იყო ბაქოში მცხოვრებ ეროვნებებს შორის შუღლისა და მტრობის განელება და მშვიდობიანობის ჩამოვდება.

საზოგადოების ბურჟუაზიული ნაწილი ხსნას გერმანელებისა და

თურქების მოსელაში ხედავდა, ნაწილი კიდევ ინგლის-საფრანგეთის მოსელაში. იმპერიალისტურ სახელმწიფოებს უნდოდათ ბაქოს ნავთი ჩაეგდოთ ხელში და მტრულად იყვნენ განწყობილი პროლეტარიატის მიმართ. კომისართა საბჭო ებრძოდა ბურჟუაზიას და ამავე დროს ცდილობდა კავშირი გაება რუსეთის რევოლუციონურ პროლეტარიატთან. ამ დროს ამიერკავკასიაში შესდგა ამიერკავკასიის მთავრობა, რომელშიც შედიოდენ მენშევიკები, მუსავატები და დაშნაკები; ცოტა ხნის შემდეგ ეს მთავრობა სამად დანაწილდა: საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მთავრობებად და ყველანი მტრულად უცქეროდენ ბაქოს კომუნას, არავითარ დახმარებას არ უწევდენ პროლეტარიატს ეროვნულ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში, რომელიც მხარს უჭერდა იმპერიალისტებს ბაქოს ხავთის ხელში ჩაგდებისათვის.

ბაქოს კომუნარებს მტკიცედ ექირათ ხელში კომუნის დროშა და მედგრად იბრძოდენ როგორც გარეშე, ისე შინაური მტრების წინააღმდეგ, მაგრამ ეროვნულმა ჯარებმა, რომლებიც უწინ იცავდენ ბაქოს, თურქების შემოსევის დროს მიატოვეს თავდაცვა და დაბრუნდენ ქალაქში; დარჩენ ამს. პეტროვის რაზმი და ბაქოს კომუნარები, რომლებიც თავაგეტებით იბრძოდენ, სახად ძალ-ღონე შესწევდათ, მაგრამ რას განდებოდენ.

ვიღაც ბნელი პიროვნებები და-  
ღიოდენ ხალხში და პროპაგანდას  
ეწეოდენ ინგლისელების მოწვე-  
ვის შესახებ.

ბოლოს, 1918 წლის 26 ივნისს,  
ბაქოს საბჭომ გამართა ისტორი-  
ული კრება, სადაც იყვნენ სხვადა-  
სხვა პარტიის წარმომადგენლები,  
და საკითხი დაისვა ინგლისელების  
მოწვევის შესახებ.

ამნაირი განტყობილების გამო  
კომუნარებმა უარი სთქვეს ბაქოს  
მთავრობის ხელმძღვანელობაზე  
და გადადგინ.

ჩვენ იმიტომ დავარქვით ამ კრებას ისტორიული, რომ სწორედ ამ კრებაზე წარმოსთვევა ამხ. სტ. შაუმიანმა ისტორიული სიტყვა: „ჩვენ მიღდივართ, მაგრამ იხევ მოვალთ, და გამარჯვება ჩვენი იქნება“. როგორც ხედავთ, ეს მისი სიტყვები გამართლდა, გამართლდა ისიც, რომ იმპერიალისტების მოწვევა საშიშო იყო, ვინაიდან მათ მხოლოდ ბაქეს ნავთი და მეფის ტახტის აღდგენა აინტერესებიდათ.

უკვი 9 წელიწადზე მეტია, რაც  
თავისუფლად ცხოვრობს და შენ-  
დება ბაქო—საბჭოთა აზერბეიჯა-  
ნის დედაქალაქი.

მას შემდეგ, რაც მთავრობილან  
გავიდენ ბაქოს კომუნარები, შეი-  
ქმნა მთავრობა, რომელსაც "ცენ-  
ტრო-იასპი" ერქვა; მასში მთავა-  
რი როლი, ხელმძღვანელის რო-  
ლი სოც.-რევოლუციონერებს ეკუ-  
თვნიდა; სოც.-რევოლუციონე-  
რებმა ინგლისელები მოიწვიეს, მა-  
გრამ ბაქოს პროლეტარიატი კო-

კუნისტებს თანაუგრძნობაზე დაუკავშირდება ვერ აეტანათ გამარჯვებულებს და ერთ დღეს ყველა გამოქმნილი კომუნისტი — კომისარი — დაატუ-საღეს. ოვეოლუციონურმა პოლ-ლეტარიატმა მოიხოვა მათი გა-თავისუფლება; ისინი მართლაც გაათავისუფლეს, და მათ დაიწყეს შზადება, რომ ცოლშვილით წა-სულიყვნენ საღმე. როდესაც ზღვა-ში გავიდენ, ისინი დაატუსაღეს, ძალით გაღმოსვეს კრასნოვოდ-სკში და გადასცეს ამიერ-კას-პიის მთავრობას, რომლის სათა-ვეში ს.-რ. იდგენ. ეს მთავრობა და ინგლისის სარდლობა შეთან-ხმდა და 20 სექტემბერს დაიმით წაი-კვანეს ისინი ველში, მე-207 ვერს-ზე, სადაც სოც.-რევოლუციონე-რების რაზმებმა მოჰკლეს, დახვრი-ტეს და ხმლებით აკუშეს ბაქოს კომუნის სახელმოვანი მებრძოლ-ნი — 26 კომისარი.



## სკოლის პარა

ადევ ჩქარა,  
ლილი, მარა,  
მოამზადეთ ეპელაფერი.  
დაბანევთ,  
ისაუზმეთ  
და სკოლის გენ გაუკრათ, ჰერი!  
გავუაროთ  
ამსახავებს:  
თინა, რაფიკს, გოლას.  
რახანია  
არ გვინახავს  
საუებრელი სკოლა!  
ეს ტრამვაის  
„განერებაც“.  
გვეცით ერვილ-ხილის,  
გატმანი და

კონდუქტორი  
არ ფარავენ ღიმილს.  
— დაიჭირეთ  
ადგილები,  
აბა, ჩქარა, ჩქარა!  
ეს როსოდა  
გადოქცევა  
თქვენთვის ნიავ-ქარად,  
ეს, მიუყდით.



დავინახეთ  
 ჩვენი სკოლას ეზო.  
 ძოგვისაბუნენ  
 მეტობრები:  
 ნოდარ, შიდა, რეზო.  
 ჩვენი ბადი!  
 ძიგ კაკლის ხე  
 და ზედ ბუდე ევავის!  
 მსოდლოდ ჩვენი  
 გარდის ბუქი  
 შეპე ბდარ ევავის,  
 მაკიერბდ  
 ძიხაკები  
 გვალუე ამოსულან,  
 და ლამაზი  
 წელის შებუილი  
 მოგავს ბაბის ქულას.  
 აი, მოდის,



სკოლებს გვიქნევს  
 სკოლმდგანელი ნინა:  
 — რომ იცოდეთ,  
 მე და სკოლას  
 როგორ მოგვიწინა!

ისე მაღალ  
 მოგვენატრეთ,  
 ისე მაღალ, რომა...  
 აბა, კინ რა  
 გააქეთა  
 და ჭან რა იმრომა?  
 და ჩვენც ეველა,  
 სხახა-სხუბით  
 მოუკუშებით ამბავს.  
 ამ ღროს ზარი.  
 ადგილებზე!—  
 ევირის,— ძახირით, აბა!  
 ისევ სწავლა,  
 ისევ შრომა  
 და სირბილი ცერად.  
 გაუმარჯოს  
 ჩვენს საეგარელ,  
 ჩვენს საქრთვა ქერძის!



## პირველი დოქტორი

სკატი მეოცენზე იყო.

მდინარეებში თევზი გამოიღია, და სკატი დიდ ზღვაზე წავიდა ბეჭდის საცდელად. მისი შვილი ბუნი კი შინ დარჩა.

საღამოს სკატი დაბრუნდა, მაგრამ თევზი ძალიან ცოტა მოიტანა.

— ძნელი დასაქერი იყო. ზღვაში წყალი ცრუმლივით მლაშე და მწარეა, მისი დალევა არ შეიძლება. სიცხეში ძალიან დავიქანცე და კინაღამ მოვკვდი წყურევილით. დასალევი წყალი არ მქონდა თან და ან რით უნდა წამელო, — ამბობდა ის.

თევზს ისინი ნაკვერჩხლებზე სწავდენ, არც ტაფები, არც ქაბები არა ჰქონდათ. საზოგადოდ არავითარი ჰურქლი არ მოეპოებოდათ. ჰურქლის გაკეთება კი ჯერ არ იცოდენ. წყალს თევზის ბუშტებში ინახავდენ. მაგრამ ბუშტები ჩქარა სკდებოდა და, ამას გარდა, წყალი ჩქარა ფუჭდებოდა კიდევაც. ცუდი სუნიდა გემი მიეცემოდა ხოლმე. სკატი და ბუნი ველურები იყვნენ, და ყველაფერი ეს, რასაც ახლა გიამბობთ, დიდი, დიდი ხნის წინად მოხდა

ბუნმა მოიტანა ფიჩი და ცეცხლი გააჩადა.

მზე ჩადიოდა. ზღვა ეშხაპუნებოდა ნაპირებს, და კოცონის ცეცხლი ბარბაცებდა მის ტალღებზე.

— არაფერი არ გვაქვს ისეთი, რომ შესაძლებელი იყოს დასალევი წყლის ჩასხმა, — სთვეა სკატმა, — მაგრამ ამბობენ, აქ მახლობლად, იქით მხარეს, საითაც ფრინველები მიფრინავენ, დიდი ველია და იმ ველზე მხამზარეული თაფლით სავსე მწვანე ბუშტები იზრდება თურმე. პირდაპირ ამოდის მიწიდან, თაფლიანი. მხოლოდ მისვლა ძნელი ყოფილა, რადგანაც აღულებული წყაროებით და ნაკალულებით მჩქეფარე გაუვალი კაობია, მიწა ისე ცხელია თურმე, როგორც ნაღვერდალი.

ასე ლაპარაკობდა სკატი და გასცემრდა ფრინველებს, რომლებიც ჩუმად მიფრინავდენ ერთმანეთის მიმდევნოდ, და იმათი ლანდები თრთოდა მზისაგან გახურებულ ნაპირის ქვიშაზე.

ბუნი ჩუმად უსმენდა მამას.

მეორე დღეს ბუნი სადღაც გაქრა; არ დაბრუნდა არც იმ საღამოს, არც იმ ლამეს. სკატი ამაოდ ელოდა მთელი ლამე ცეცხლის პირას, უძილოდ.

გავიდა კიდევ დღე. კიდევ დადგა საღამო, კიდევ ლამე მოვიდა

მაგრამ ბუნი არ დაბრუნდა... სკატი კი ისევ ცეცხლთან იჯდა ჩაცუცქული, მოხრილი. წვივებზე ბალნიან ხელები შემოექცო, ნიკაპით მუხლებს დაყრდნობოდა. ბუნი არ ჩანდა.

მხოლოდ მეოთხე დღეს გამოჩნდა ბუნი, და სკატი მაშინვე მიხვდა, სად იყო მისი შვილი გადაკარგული. ხელში ბუნს დიდი მწვანე ნაყოფი ეჭირა, ჩვენი დოქის მსგავსი.

— ოჲ, ჩემო ბუნ, რა გაქვს ხელში? — ჰეთხა მას სკატმა, — ნუთუ იმ ველზე იყავი, სადაც თაფლინი ბუშტები ხარობს? როგორ გაიარე ცხელი ჰაობი?

— ოჩაფეხებით, — მიუგო ბუნმა, — და ცხელი ჰაობიაღარ მწვავდა.

ძალიან კარგი გამოგონება იყო ოჩაფეხებით სიარული. ბუნის მოტანილი ნაყოფი გოგრა აღმოჩნდა. მართალია, შიგნით თაფლის მაგიერ თესლი და რბილი გული ჰქონდა, მაგრამ სკატმა გოგრისაგან წყლის საუცხოვო ჭურჭელი გააეყო და სხვა ხომ ჯერჯერობით არაფერი არ იყო საჭირო.

ყოველდღე მიღიოდა ახლა სკატი თავისი ნავით ზღვაში შორს და თან მიჰქონდა დასალევი წყაროს წყლით სავსე ჭურჭელი ერთხელ გრიგალის დროს ტალღებმა გამოაგდო ნავი ქვებზე. ნავი გადარჩა, მაგრამ წყლის ჭურჭელი ბევრ ადგილს გაიბზარა. სკატი შეეცადა გაბზარული ადგილები თიხით შეელესა, მაგრამ თიხას ველ-



დებოდა და სკდებოდა, როგორც კი გოგრაში წყალს ჩაასხამდა.

— ირგვლივ სქლად უნდა გალეს თიხით, — უთხრა მას ბუნმა.

სკატი სწორედ ას მოიქცა, გოგრას ირგვლივ თიხის სქელი ფენი შემოალესა და ცეცხლზე დაჭიდა გასაშრობად.

ზღვაზე გრიგალი ბობოქრობდა. შორი თოვლიანი მთებიდან ცივი ქარი ქროდა. დაღამდა. სკატი და ბუნი გაეცვინ მგლის ტყავში და დაწვენ ცეცხლის პირას. ქარი ოხვედა გოგრას ცეცხლზე, უბერავდა ცეცხლს და აგიზვიზებდა ალს. სკატს და ბუნს თბილად ჩაეძინათ.

გაელვიძათ დილით და ნახეს, რომ გოგრა ცეცხლში ნაკვერცხლებზე გდია: ბაწარი, რომელზეც გოგრა ეკიდა, გადამწვარიყო გოგრა ცეცხლში ჩავარდნილიყო და გარშემო თიხა ქვასავით გამაგრებულიყო; თუმცა გოგრის ქერქი თიხის შიგნით სრულიად დამწვარი იყო, მაგრამ ეს საქმეს სრულიად არ ვნებდა; როდესაც შიგ



წყალი ჩაასხეს, არ გავიდა. პირ-იქით, კურკელში წყლის აღულება და თევზის მოხარუშაც კი შესაძლებელი გახდა.

იმავე დღესვე გამოიქრწა ბუნბა  
თიხისაგან ფინჯანი და გამოწვა  
ცეცხლზე. ფინჯარი წერიალებდა,  
მთლად წითელი იყო; საღამოთი  
ბუნბა წვნიანი თევზი მოხარშა  
შეიგ. არც ბუნს და არც სკატს მა-  
ნამდე წვნიანი მოხარშული თევზი  
არ უჭამიათ. ისინი მხოლოდ შე-  
მწვარი თევზით იკვებებოდნ.

სკატმა სთქვა:

— დღევანდლამდე არ ვიცოდი,  
თუ თიხა ქვისავით მაგარი გახდე-  
ბოდა ცეცხლისაგან. არ შეიძლე-

ბა სხვა რამეც გავაკეთოთ თინი-  
საგან?

სწორედ ასე ისწავლეს ახალი ზელანდიის<sup>1)</sup> ველურებმა თიხის პურქლეულის კეთება. სხვა ადგი-ლებში იქნება სხვანაირად მოხდა, მაგრამ ახალ ზელანდიაში და სო-ლომონის კუნძულებზე ახლაც გაი-გონებთ ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობდა ოდესილაც ირი მეტევზე — სკატი და ბუნი, მა-მა და შეილი, და როგორ გააკე-თეს იმათ პირველად გოგრის დო-ქი და შემდეგ გამომწვარი თიხის ფინჯანი.

6.

მოწავეთა დაგრენება სახაფულო პრდადეგეგიდან.

ბანაკებიდას დაბრუნდენ  
ნორჩ პიონერთა რეოლები;  
ქივილ-ნევილით ააგსეს  
მიურუებული სკოლები.

სსვა მოწაფენც მოდიან,  
მასწავლებლებიც ჩნდებიან;  
იმის წერიალი ზარისა,  
ურთდერთს საფომით ხვდებიან.

### 8. ქუჩიშვილი.

1) ასეთი შემთხვევა დოდე კონტროლის ჩატარების შემთხვევა.

## ლაპარაპობს, ლაპარაპობს.

(გაგრძელება)

მირბის ლიანდგზე შავი ვეშაპი,  
მირბის, გუგუნებს, აბნებს ნაჯრწელებს  
მარტის ღამის ნიბნელები და მიღოვან  
გრძელ შავ ცვილს. გმილი შესახვევებზე



იკლავნება, ხმაურობს. ვარშემო ტრიალი მინდორია, ჭროდადორო  
ჩანს ჰატარა სოფელი, სადაც ძლიერ ბეჭტავს სასოფლი. გამოხნდება  
ჰატარა სადგური, რამდენიმე წუთით გაანათებს და ისევ დაბნელდება.  
მაგ ჰატარებელმა კი სეამებზე, დატაგზე ჭუჭეიანი დაფლეთილი ტა-  
ნისამოსით სხედან, წვანან და დადიან ბავშვები. ზოგი კივის, ზო-  
გი ტირის, ზოგი სძინავს, ზოგი კი შესჩერებია გავონის ჭერის და  
რაღაცას ფიქრობს.

შავი ორთქლმავალი კი როცა მოუახლოედება მოსახვევს, ერთს  
კარგად წამოიკიდებებს, თითქოს უნდა ქეყანას აცნობოს, რომ  
მოჟეავს უპატრონო ბავშვები დიდ ქალაქში, სადაც მათ ელის თბი-  
ლი ბინა, შერი და ალერისი.

— უ-უ-უ-უ! — განეციის თრთქლიშვალი.

— ჩექ, ჩექ, ჩექ! — მხიარულად გაიძახიან ვაკონების ბორბლები.

სადილის დრო ივ, მატარებელი ტყილისის სადგურს რომ გახერდა. ბავშვის ელოდა მიმღები კომისია, რამდენიმე კაცისაგან შემდგარი სადგურის დარბაზში სუფრა იუთ კამლილი. ბავშვის სადილი აჭამეს და შემდეგ წლოვანების მიხედვით დააჯგუფეს. ბავშვი ავტომობილებით გააგზავნეს საბავშო სახლებში. სადგური, თანდათან ცალიერდებოდა. მიმღები კომისიის თაუმჯობორე გიორგი განკარგულებას აძლევდა, რომელი ბავში სად გაეცავნათ.

— ავერ კიდევ ერთი გოგონა, — სთქვა ვიღაცამ.

სადგურის დარბაზში, ფანჯარასთან, სკამთან იჯგა 4-5 წლის გოგონა, მინებიში გახვეული. როცა ვინმე უახლოვდებოდა, შემინებული გოგონა სკამს აეფარებოდა ხოლმე; გაუცითლებულ სახე-ზე გიმერიკით მავი თვალები უბრწყინდებოდა.

— გოგონა, ა, გოგონა, რა ჰქვიან? — ჰქვითხა გიორგიმ.  
გოგონამ ჰასუხი არ მისცა.

— ნუ გემინა, გოგონი, მითხარი, რას განუმებულხარ? —  
ალექსით გაუმეორა გიორგიმ.

ჰასუხი მაინც არ იყო.

— რამ შეაძინა ასე? — სთქვა ვიღაც მოხუცმა.

— ვიდომ რა საკვირველია?

— ვინ იცის, რამდენი ტანჯვა აქვს გადატანილი?

— სთქვი, გოგონი, დედა გეავს?

ბავში სდებდა.

— ასე მოელი გზა ხმა არ ამოუღია, — სთქვა მეორემ, ცო-  
ტა მასზე მოზრდილმა ობოლმა.

— მე მავ ბავში ვიცნობ, — სთქვა მესამემ, ჩვენი მეზობელი  
სოფლიდან არის; ირინე ჰქვიან, ერუ-მუნჯია; დედა ჰქავდა, მაკ-  
რამ ისიც, სოფელში სთქვეს, სასადით მოუკედათ.

— ერუ-მუნჯი!

— ერუ-მუნჯი!

— մամ ևս վայուցնո՞ւ, — ետքի զուրկո՞ւ, — մայսէ եռմ ևս ծագմու և եթելու առ մուռցյա՞ն? մովելույշնու, — մոյթրյնու օցու ևս լուսնու, — ոյնչու ջոնի տիպինը անու դրույնու մյուսներու ամ ծագմէ՞՞՞ մյուր ևս մուշտայիցնու.

և միշտյ հօմայարդա, և ածոնմա քամլա քամիցու.

զուրկու լուրջ ևս հայուրյածու օդցա, մյուր ևիրայած զարձանյա ծյուլիք եյլու, ուստիու բազաց անու և մուրյունու, մոյօնա ծագմտան, զամենա ևս ածոնմու, և լույսու առցանս ու իշխու նանչուտ զայմիցնայրա տացունու ևս եթելունյան.

չյլուն, զուրկու լուրջ, յեւս ոյտ ևս ածունուն միացյած զայտացնուն, և լույսու զայմածու ու մինուն մուլունունու ևս այրուցուտ եյլուն քամյածունու գանչարանտան. մեսու ուստի վլուն մզուն յլունու այլու տամամունա. պայլուն ևս և լույսունու ոյտ. պայլուն ևս աստու յըսուն ու մեսարյալուն վոյնիցունու. զանմա յարուն յաշնու.

— այր մամաց մոյօնա, — ետքի չյլուն ու յարուն յասացյածու օդցա. զուրկուն նայրան սուզան յոյնից յանինունու ու ուստիու մյուսունու.

— յուտու յուրան յուրան մուտյանյ, չյլու, — ետքի մուսկունա, որոնյս ևս ասանու մուստուն ու մյա ուստիու քայլուն.

չյլուն մյելոյնունու եյլուն հայրա. յլույտ յամշմա.

— եռմ առ մյուսալու! — մյէկույլուն չյլուն, — ուս յուրունուն, չյունինու, յամրունու, բուլունուն նացմու ևս եթելու ուստի մոնցածու? յօն օցուն, ու նշունու.





— ამასთანავე ურუ და მუნჯი, — და-  
უმატა გიორგიძ.

— ადელებული პელო სკამჩე და-  
ქმვა.

— ესდა გეგელიდა, — წამოიძახა მან,  
სული როცა მოითქვა, — შენი შვილი არ  
შეცოდება?

— დაიცა, დედაგაცო, რა დაგემართა?  
მოვაწეობთ სადმე. მაშ რა შექნა? ქუჩამი  
დამეგდო, როცა არავის მიჰევავდა? აბა ჩქა-  
რა დაბანე და სუფთად ჩაცდი. გვიძა.

პელომ იცოდა თავისი ქმრის ამბა-  
ვი: თუ რამე გადაწევიტა, ვერავინ ვერ  
გადაათქმევინებს, ამიტომ ღრმად ამოითხრა და შეუდგა მისი გან-  
კარგულების შესრულებას.

ნახევარი საათის შემდეგ ირინე ელიკოს შალის კაბით იჯდა  
სუფრასთან და გემრიელად ილუამებოდა. თვალები უბრწყინადა.

— კარგი, გოგონა? — სოჭა გიორგიმ და თავზე სელი გადაუსვა.  
ირინემ გაიცინა.

— უსრუ, იცინის, — სოჭა გიორგიმ, — ესმის, თქმა კი  
არ შეუძლა.

ნახადილების ირინე ელიკოს გვერდით მოუსვეს. ელიკო თავის  
საათამაძოებს აჩვენებდა, მსიარელად რაღაცას უამბობდა, ირინე კი  
თავს ჟანტურებდა და სელებს ძლიდა. მშენივრად თამასობდენ.  
დამე კი ორივე გოგონას ტკბილად ქმინა ერთ საწოლში.

მეორე დილას გიორგი წავიდა გასაკებად, სად არის ურუ-  
მუნჯით სკოლათ და შეუდგა ირინეს მოწეობის საქმეს.

ორი დღის შემდეგ გიორგიმ ირინე დილა-ადრიან სადღაც  
წაივინა ტრამვაით ირინეს უკელაფერი ეუცხოებოდა. საღწი  
უქსფეხების, ეკელა სადღაც მიეჩარება, ტუჩებს ატოკებენ, კაცი კი,  
რომელსაც ტეავის ჩანთა აქვს, წამდაუწუმ სწევს ირინეს თავის

ზემოთ გამშელ თოვს.  
ირინე ქანებლმა ათ-  
ტანა: რა ხალხია ეს?  
სად მიჰუავთ იგი?  
როგორც დაძინებუ-  
ლი ცხოველი, ისე  
მიეკრა გიორგის,  
თრთოდა. აგერ გად-  
მოვიდენ კიდეც ტრა-  
მვაიდან და ქუჩაში  
მიდიან; ირინეს წინ



გაუსწრო ბავშთა ჯგუფმა; თითებს ახმრევენ და რაღაც ნიშნებს აძ-  
ლევენ ერთმეორეს. ირინემ მაშინ არ იცოდა, რომ ეს ბავშები  
ურუ-მუნჯები იეჭნენ.

გიორგიმ ირინე დიდ სახლში შეიუვანა. აუარებელი ბავში ბუ-  
ზივია იტეოდა, უველა ირინეს უურებდა.

ირინე ატირდა. მერე ვიღიც უცხო პირებმა ირინეს პირი გა-  
ადებინეს, რადგაცას უსინჯავდენ, სან ერთი მხრით, სან მეორე მხრით  
ატრიალებდენ. როცა ირინემ მწარე ქვითინი დაიწუთ, მაშინ და-  
ანებეს თავი.

წავიდა გიორგი. ირინე ამერა ფანჯარაზე და უურებდა ატა-  
ლანებულ ქუჩას და ჭიძეას, რომელშია გავიდა მისი მფარებელი.

გული უცემდა და რადაც სევდა აწესებდა.

### შვითელი სახლი.

მსიარელი უვთელი ფერისაა სახლი მიგნით. კედლები შეუ-  
ღებავია; ოთასის შუაში დაბალი მაგიდა და სკომება, კუთხები  
თაროებზე სათამაშოებია.

აგერ დედოფალას გაუშლია სელები, მოწევილ ვირს თავი ჩა-  
უდინავს. აქეთ მოელი გროვა თვითებდაჭურილი ტიკინებისა, ბურ-  
თი, სხვადასხვა ფერის და სახის ფიგურები, ღორი, მაღლი, ტიკი,  
აუკაცი.

შატარა კოვა შესწერის სათამაშოებს. ძაღლის უნდა ერთხელ მაინც გააგოროს ბურთი, მაგრამ მასწავლებელი ოლია მაგიდის უაკუნებს ხელს. კოვამ იკრძალ, რომ მაგიდა შეინირა და შეხედა მასწავლებელს. მასწავლებელს კი სერიოზული სახე აქვს, ტუჩებს ანძლებს. ამბობს: „კოვა, არ შეძლება!“

და კოვას ქმის, რომ ახლა არ შეძლება ბურთის თამაში, ახლა მერწვის დორა, და კოვამაც უნდა მერწოს სხვა ბავშებთხნ ერთოდ.

ზინა და კოლა ფეხებს ურტეამენ ერთმანეთს მაგიდის ქვემ. მწარედ მოხვდა ზინას ფეხი და ატირდა. მასწავლებელმა მოჰკიდა კოლას ხელი და მეორე მაგიდასთან გადასვა, ზინას კი უაღვენებს:

— ზინა ფუა, ფუა, ფუ!

ზინაც შესწერებია მასწავლებლის ტუჩებს და იმეორებს: „ფუა, ფუა!....

ზინამ შეგვად იცის ლაპარაკი. წელიწადზე მეტია, რაც იკი ერუ-მუნჯთა საბავშო სახლში სწავლობს.. ზინა დაბადებიდან ერუ-მუნჯია. მისი ამხანავებიც — კოვა, სოსო, კოლა, ნინა, მაშო და სხეუბიც — ერუ-მუნჯები არიან. ბევრიმ მათვანმა უკვე ის-წავლა ლაპარაკი. უკელამ იცის თავისი სახელი. მათი სახელები ფერდი ფანქრითა დაწერილი ქაღალდის ფურცლებზე და კედლებზე ჭკიდია. აქვე კედლებზე ჩამოკიდებულია ბევრი სხვა სურათიც: აკერ ძაღლი „ამ“, კატა „მიაუ“, ცხენი „აჩუ“, ბურთი, ლომი, დანა, ფინჯანი, ჩიტი.

— ამ, ამ,—ამბობს მასწავლებელი — ნიკო, სად არის ამ, ამ?

ნიკო მირბის სურათთან. და უჩენებს „ამ-ამ“-ს. მაგრამ თქმა ჯერ არ შეუძლია, მაშომ კი უკვე ბევრი სიტყვა იცის.

მძღლიან მხარულად არიან საბავშო სახლში. რეა საათზე დევ-ბიან და საუზმობენ გრძელ, ნათელ სასაუზმო ოთახში, მერე მი-დიან სასეირნოდ. კოვა მძღლიან სასაცილოა: დაინახავს თუ არა ცხენს, გაჭერის „აჩუა, აჩუა“, მირბის ქაფენილზე, მურას კი

ძალიან უკვარს ჩიტები, მაგრამ რომ კერ უთქვაში სიტუაცია „ჩიტე“? მასწავლებელი ასწავლის, რომ ჩიტე „ჩი“ დაქმახოს, — ეს კც არ ძეუძლია. მიხდევს შერიცო ჩიტეს, უნდა პუდზე მოჰკიდოს ხელი, მაგრამ სად არის: აფრინდება ჩიტე, მურა კი დგას და პირდაღებული შესტერის, როგორ მიყრინავს იგი. მეცდინეობაც ძალიან შეიძორულად მიძღვნილობს, მეტადრე მე-

რწევა, ხატებ და ტანგარჯიში მუსიკით. მოსაწევნია შეღლოდ სიტემების გამოთქმის სწავლა და ამისათვის საჭირო ვარჯიშობა ნირით.

ქანაძი ცხედარს მოასესენებენ. ბავშვი ფანჯარას მივაჭდენ და ურნობენ, როგორ ინტერეს ჰაერი და ფანჯრის მიხედვით მუსიკისაგან. ერთხელ თინა ფანჯრიდან ჩამოვარდა და ცხირი გაიტეხა, სამაციეროდ შეისწავლა სიტუაცია „ჩამოვარდი“. იტევის თუ არა კინძე „ჩამოვარდა“, თინა მამინვე ფანჯარას მიუთითებს. დასკვენების დროს კი, რომ ცილიდეთ, რა სიმხიარულე! ბავშვი დარბიან, დახტიან, ფუსფუსებენ, რაღაცებს იღონებენ. აბა შეტევე კოვას და კერას, ისინი დიდი მევაბრები არიან. კუთხემი მიმსხდან და კოვა რადაცას უხსნის ჭრას: თავს შერავს, თვალებს ახაძამებს, ხელებს შრის, და კერას მშენივრად ესმის მისი ნიშნები. კატო და მამო დედოფალას ეთამაძებოდენ და ჩეუბი მოუვიდათ. მამო ართმევს დედოფალას, კატო კი არ აძლევს და რადაცას ბუტიურებს. ბევრი სამებაო აქეს მასწავლებელის: წახსუბებულნი უნდა შეარიცოს, ერთს აუხსნას, მეორე დაბრივოს, ამის შარვალი შეურას, მეორეს გაუწერეს, მესამეს მიუაღერისოს.

ერთი წუთით მოსკვენება არა აქვს.

(გაგრძელება იქნება)



## ზღვის მანათოგელი ცხოველები


ვინც შევ ზღვაზე ყოფილა, უნა-  
ხავს, როგორ ანათებს ხანდახან  
ტალღები ვერცხლისფერი შუქით.  
ისეთი ლამაზია ეს შუქი, რომ შეი-  
ძლება დიდხანს უყუროთ და მისი  
ცეკვა არ მოგწყინდებათ.

ამნაირად ანათებენ პაწაწინა  
ცხოველები—ლამის მნათები.

ლამის მნათი—პაწაწინა რბილი  
ბურთულებია. ზღვის ზედაპირზე  
აუარებელი ცურავს, იმდენი, რომ  
ზღვა წითელი გერენებათ.

ტალღების მოძრაობის დროს ლა-  
მის მნათები ერთ-  
მანეთს ეჯახებიან  
და ამ დროს კიდევ ვ  
უფრო მეტად ანა-  
თებენ.

ზღვის სიღრმე-  
ში მუდამ ბნელა,  
იმიტომ რომ მზის  
სინათლე ვერ აღ-  
წევს იქამდე, მაგ-  
რამ ამ სიბნელე-




მნათობელი ცხოველი

შიაც არიან ცხოველები, რომ-  
ლებიც ანათებენ.

აბა შეხედეთ ამ ცხოველებს,  
ზღვის ბუმბულებს, ესენი სხედან



მნათობელი ცხოველი



მნათობელი ცხოველები

წყალქვეშა კლდეზე და ცისფრად  
ანათებენ საამურად. ანათებენ აგ-  
რეთვე ზღვის ანემონები, რომლე-  
ბიც ძალიან გვანან უვაკილებს;  
ზღვის ზოგი კიბო და ჭიაც ანათებს.

არის თევზი მო-  
ლოკოსტუს, რო-  
მელიც ძალიან  
ლრმად და ცურავს  
წყალქვეშ და მუ-  
დამ ანათებს, ნამ-  
დვილი შოძრავი  
ჩირაღდანია. მო-  
ლოკოსტუსს მკე-  
რდის და კუდის და-  
ყოლებით ორივე  
მხარეს პატარ-პა-

ტარა მექექები აქვს და სწორედ  
ეს მექექები ანათებს. არიან თევ-  
ზებიც, რომლების საცურავები  
აგრეთვე ანათებს.

თქვენ იყითხავთ: რა საჭიროა  
ეს წყალქვეშა სინათლე? აი რის-  
თვის არის საჭირო ამ ცხოველე-  
ბისათვის სინათლე: ზოგი სინათ-  
ლის საშვალებით იკვლევს გზას,  
ზოგი იზიდავს საჭმელად გამოსა-  
დეგ პატარა ცხოველებს, ზოგი კი  
თავს იცავს მტრების თავდასხმისა-  
გან: ატყობისებს მტერს, რომ მის-  
თვის გამოსადეგი საჭმელი არ  
არის. მტაცებელი შორიდან ხე-  
დავს სინათლეზე თევზს და ხელს  
აღარ ახლებს.

ორის შემდეგ პირებელი ვინც დას, თავ-  
ზე მილივით დამვეული ქაღლდი და-  
ახურეთ, ხელში მუყაოსაგან ორი რევა-  
ლად გამოწილა ქაღლდი მიეკით, რომ-  
ელებზეც შეაზე ჯერ ირჩი პატარა წი-  
თელი წრე დახტეთ. ერთია ბავში და-  
აყენეთ განმე კალათან, ხელში ზარი  
მიეკით; როგორაც არჯერ დარექს ზა-  
რი, დაუსტევინოს იმან, რომელიც შეკრივ-  
ნებ დგას უკანასკნელი. შემდეგ კი კვე-  
ლამ უნდა იგუგუროთ ჯერ ნელ-ნელა,  
შემდეგ უფრო მქანერებით „დაბ-დაბ-დაბ“  
და ნელ-ნელა დაძრითა დაგილილან ერთ-  
მანეთის მიღებენოდ, იქით, საითაც  
წაგივენასთ პირებილი, თავშე როც მილი  
ახურავს; შეიძლება სელის ღრუს დააჭ-  
ნიოთ ცხეირსახოსური, ან ხელი, თითქოს  
ვინჩეს ეშვეილობებით. ხომ მისედით და  
გამოიცანით რასაკეირევლია. ბავშები  
მიღიან სადგურიდან პატარებლით, ჭინ  
ორთქმავილია, უკან მთავარი კონდუ-  
ქტორი, განმე ჩინისგზის მოსამასუ-  
რე, რომელიც რექს, და შუაზე — ვა-  
გონები.

შეიძლება განაგრძოთ გამოკანა, თუ რა შეემთხვაოთ გზაში. მაგალითად:

შეორებ გამოცანა. ორთქლმავალი უცებ  
ჩერდება. ერთი ბავში, რომელიც გზაში  
დგას და ჩაბარებული იქს წითელი და



ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗବତ, ସମ୍ପଦ କ୍ଷିତିତଥି ଶାନ୍ତିଲାଭ।  
ମିତ୍ରାଚାରୀ କୁର୍ମଦୟୁମ୍ନାରୀ ନିମିତ୍ତଙ୍କୁ ମହାତ୍ମା-  
ରୂପଲିଙ୍ଗାଳଙ୍କ, ଗାୟତ୍ରୀର ଗନ୍ଧିର୍ଭାବରେ ମିଳିଥିଲୁ  
ଏ ପଦ୍ମପଦ୍ମ ମହାତ୍ମାରୂପଲିଙ୍ଗ ମିମାଙ୍ଗାଳ ଅଭି-

დეკიმე ბავშვს. შეუღებელიან შემცირდებული გადა  
ბავშვები ისე უნდა მოზაონდენ, რომ ყვე-  
ლა მისვედეს, კოთომ შეშები არიან და  
რეალუსტა აქტორებენ. მატარებელი იმი-  
ტომ განერდა, რომ გზა გაუჩენებული  
იყო.

შესაბმელი გამოცანა. უკან, ვაკომის ბორბლები უფლებება. საღვეურზე მუშაობის ათვალიერებები ვაგონების ბორბლებს (ვოთონ უკავენებენ ჩაქრებებს), შემდეგ ამ უკანასკნელ ვაკომის „აკლიან“ პატარე-



ბეჭლს: ორთქლმავალი გაფაცის მწერეების  
ბოლოს, მიაბამენ უკანასწერდ ვაკონს და  
უკან-უკან სელით მიჰყევთ სათაბარივო  
აღვილას. მეშაობენ, აეკუპენ და ვაკო-  
ნი ისევ გადმომჰყავთ და აბამენ მატარე-  
ბელს, ისევ განვარჩობენ გზას. ზეიდლე-  
ბი სხვანარიადაც გაითმიაშოთ: ვითომი  
სკომორი დაყრილია და საჭიროა და-  
ცდა, სანი გზა განთავისუფლდებოდეს.  
თუ საჭირო მასალა არ არის სემაფო-  
რის გასაცემობლად, ზეიდლება რომელი-  
მე ბაგში დატეს მატარებლის წინ და  
ისე ასწიოს და დასწიოს ხელები, რომ  
სკომორის მოვარუბლებით.

შეიძლება კალეც გრაში მატარებლივ  
დან აერთობილში გააღვდეთ, გემში,  
აერთობლანში, ნავში, ტივზე, ურებში,  
ტრამვაზში და სხ. იქნება კინემატიკურ  
კიდევაც, როგორ უნდა მოიწყოთ აერთო-  
ბლივით, აერთობლანით, გემით შეზაფ-  
არობა. მოიწყერეთ ჩვენს უურნალში და  
დაბეჭდეთ.

— 1929 ඩී. —

සාම්ප්‍රදායික දානුරූතෝජ්‍යලාභ ප්‍රේරණාලැංඡය:

ඩ්‍රයිංග්‍රෙලයා. „ඩෙම්ඩොහැරුව“ II ඩ.

මහින්දර මහතා. „සිංහල මාලිනි“ IV ඩ.

බඳුමූල්‍යාචාරා මධ්‍යස්ථාන අඛණ්ඩ අ‍යා නාඩෝත්‍රික අඛණ්ඩ.

ගාලුග්‍රෑවනිත	„ඩෙම්ඩොහැරුව“ —	ජුලිය — 3 ඇ. 50 ජ.
	„සිංහල මාලිනි“ —	නාඩෝත්‍රික ජුලිය — 2 ඇ.
	„සිංහල මාලිනි“ —	නාඩෝත්‍රික ජුලිය — 5 ඇ.
පාලුයා. නොමියෙනි	„ඩෙම්ඩොහැරුව“ — 35 ජාය.	
	„සිංහල මාලිනි“ — 25 ජාය.	

විෂයමත්තා: උපිල්ලිස්, රුහුස්තුග්‍රෙලිස් ගාම්බින්, № 22, පානෙලුගම් (ඩෝම්ඩ්‍ර සාර්තුලු). මාලුගාලීන්දාමට සෙශ්‍රුතිය. „ඩෙම්ඩොහැරුව“ දා  
 „සිංහල මාලිනි“ ණයුදායුතුවා